

ახალი ადგილობრივი ინიციატივა, - მწვანე ბიუჯეტი ზუგდიდში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო • Sakrebulo Of Zugdidi Municipality

<https://www.facebook.com/zugdidissakrebulo/posts/1602606696582247>

📢 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „მწვანე ბიუჯეტის“ საპროექტო განაცხადების მიღება დაიწყო.

📄 განაცხადები მიიღება 5 - მაისიდან 25 მაისის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. #45, II სართული) ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: sakrebulozugdidi@gmail.com

📄 განაცხადის ფორმა: <https://drive.google.com/open...>

📄 რეკომენდებული ნარგავები: <https://drive.google.com/open...>

📄 შეგახსენებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სანდრო სორდიას ინიციატივით, 2020 წლის ბიუჯეტში აისახა „მწვანე ბიუჯეტის“ კონცეფცია, რაც გულისხმობს ე.წ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროექტის ერთგვარ ანალოგიას ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ქუჩებსა და უბნებში.

📄 კერძოდ, პროექტში მონაწილეობისათვის აუცილებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ქუჩებსა და უბნებში შეიქმნას საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მუნიციპალიტეტს მიმართავენ გამწვანების პროექტებითა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით, ხოლო მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებას პროექტის საერთო ღირებულების 90 პროცენტით.

📄 საწყის ეტაპზე, თითოეული პროექტის ღირებულებაზე დაწესდა ზედა ზღვარი 10 000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში, ხოლო ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოიყო 100 000 (ასი ათასი) ლარი.

📄 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია „მწვანე ბიუჯეტის“ საბჭო, რომელიც მოახდენს შემოსული განაცხადების ვერიფიკაციას და განსაზღვრავს პროექტის განხორციელებისთვის საინიციატივო ჯგუფის ფინანსური თანამონაწილეობის ოდენობას. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმის უფლებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

📄 #ერთად_გავამწვანოთ_ზუგდიდი!

📄 დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 591 44 53 27 - სანდრო სორდია - საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი ინიციატივის, მწვამე ბიუჯეტის აქტივობების საინფორმაციო ლინკი:

[https://www.facebook.com/hashtag/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%97_%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%92%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98?_eep=6&source=feed_text&epa=HASHTAG&xts\[0\]=68.ARBwi2EMkQbu5IxVcj-rf4pjLgMLRo2Mg6R6cZdVIWm1EdgFTY8oid5onfC2KEUv8NwrxYv4oImwxqWVJ5hSAra4uHNvz5ko4oO0oYLoVkJEIKI56R_UHN1F0tdHLirGudi0rk1nJ3Qtjgo_OdNKJ-QyFDpBVtTAWe5CFE_o6tt2NiF_GCY3dxZBVQdfXZEZQ22TpYn2QC-KGL5CVixljISNo4UcmDGVP0kjRCylvDkHsiJgK2s9dzTOdwKkyA78vi0g68UVi_IFBfPtpm7mgG0MnpMPTzVz6Q7p0YXLzcr_gD9nCn57o1M-5-EyULnt6_L13kSTXMk48Z_3HDREC1Q&tn=*NK-R](https://www.facebook.com/hashtag/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%97_%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%92%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98?_eep=6&source=feed_text&epa=HASHTAG&xts[0]=68.ARBwi2EMkQbu5IxVcj-rf4pjLgMLRo2Mg6R6cZdVIWm1EdgFTY8oid5onfC2KEUv8NwrxYv4oImwxqWVJ5hSAra4uHNvz5ko4oO0oYLoVkJEIKI56R_UHN1F0tdHLirGudi0rk1nJ3Qtjgo_OdNKJ-QyFDpBVtTAWe5CFE_o6tt2NiF_GCY3dxZBVQdfXZEZQ22TpYn2QC-KGL5CVixljISNo4UcmDGVP0kjRCylvDkHsiJgK2s9dzTOdwKkyA78vi0g68UVi_IFBfPtpm7mgG0MnpMPTzVz6Q7p0YXLzcr_gD9nCn57o1M-5-EyULnt6_L13kSTXMk48Z_3HDREC1Q&tn=*NK-R)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №51

2019 წლის 30 დეკემბერი

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6,630.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,630.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4,700.0
03 02	შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“ ფინანსური ხელშეწყობა	550.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	600.0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შპს „ზუგდიდაგროსერვისი“-ს ბაზაზე	350.0
03 05	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	300.0
03 08	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მდრღნელებისა და სხვა ცხოველებისაგან	30.0
03 09	მწვანე ბიუჯეტი	100.0



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

1 მაისი 2020 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №38

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის
დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართზე: ზუგდიდი, რ.ლაღიძის ქ.№12).

საკრებულოს თავმჯდომარე



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი

„მწვანე ბიუჯეტის საბჭო-ს“ შექმნის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის მიზნით ჩართულ იქნას სამოქალაქო ინიციატივები, მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები, მიეცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, საინიციატივო ჯგუფებსა და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა, თვითონ შეიმუშაონ და განსაზღვრონ კონკრეტულ დასახლებაში, უბანში არსებული პრიორიტეტული გამწვანების პროექტები;

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წესი შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად და განსაზღვრავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათათბირო ორგანოს - „მწვანე ბიუჯეტის საბჭო“-ს (შემდგომში „საბჭო“) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობას და ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას.
2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენელი/ები, საჯარო მოხელეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი/ები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი/ები.
3. საბჭოს შედგება 9 წევრისგან, სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება შუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც წერილობით მიმართვას საკრებულოს აპარატს.

მუხლი 2. საბჭოს უფლებამოსილება

1. საბჭო უფლებამოსილია, „მწვანე ბიუჯეტის“ მომზადების ეტაპზე, განიხილოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შემოსული საპროექტო განცხადებები (შემდგომში „პროექტი“), შეამოწმოს განცხადებების სისწორე შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განხორციელოს წარმოდგენილი პროექტი), ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება), ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება), პროექტის განხორციელების ვადები, საჭიროების შემთხვევაში პროექტის განხილვისას მოიწვიოს პროექტის ავტორი.
2. საბჭო უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობისას შეამოწმოს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივები (მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით) კონკრეტულ დასახლებაში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების თაობაზე, გაეცნოს წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტის თანადაფინანსების საკითხის გადაწყვეტა: მუნიციპალიტეტის წილი 90%, ინიციატორის-10%;
3. სულ მწვანე ბიუჯეტის კონცეფციის ფარგლებში ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 100.000 ლარი. საწყის ეტაპზე პროექტის ღირებულებაზე დაწესდა ზედა ზღვარი 10 000 ლარის ოდენობით;



4. საბჭო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრული თანხობრივი ოდენობის გათვალისწინებით, შეამოწმოს დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შესაძლებლობა და მერს წარუდგინოს მოსაზრება, შესაბამისი რეკომენდაციის სახით, პროექტის რეალიზების თაობაზე.
5. საპროექტო წინადადებების წარდგენა შესაძლებელია საბიუჯეტო წლის 1 მაისიდან 25 მაისამდე;
6. საბჭო უფლებამოსილია, გამოავლინოს ვერიფიცირებული პროექტი არაუგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 ივლისამდე. ვერიფიცირებული პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს მიმდინარე წლის ბიუჯეტით.

მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. საბჭო შედგება საბჭოს წევრთაგან მათ შორისაა საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით;
2. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:
 - ა) უხელმძღვანელოს საბჭოს მუშაობას, მოიწვიოს და გაუძღვეს საბჭოს სხდომებს;
 - ბ) კოორდინაცია გაუწიოს საბჭოს საქმიანობას;
 - გ) ხელი მოაწეროს საბჭოს სხდომის ოქმებს;
 - დ) დაამტკიცოს საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა და დღის წესრიგი, აკონტროლოს მისი სამუშაო გეგმისა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულება;
 - ე) შეასრულოს საბჭოს წარმომადგენლობითი ფუნქცია;
 - ვ) არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე მოიწვიოს საბჭოს სხდომა და საბჭოს სხდომამდე არანაკლებ 2 დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის შესახებ საბჭოს წევრებს და დაინტერესებულ სუბიექტებს;
 - ზ) სხდომა გამოაცხადოს გახსნილად, წარადგინოს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები და სხდომა გამოაცხადოს დახურულად;
 - თ) საბჭოს თავმჯდომარე, ისევე როგორც საბჭოს სხვა წევრები, სარგებლობს კონკრეტული საკითხის განხილვისას ერთი ხმის უფლებით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;
 - ი) საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს სპეციალისტი, რომელმაც შეიძლება ისარგებლოს სათათბირო ხმის უფლებით.
3. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
4. საბჭოს საქმიანობის ორგანიზებულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი;
5. საბჭოს მდივანი:
 - ა) ადგენს დღის წესრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს თავმჯდომარეს.
 - ბ) ადგენს საბჭოს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრები და ასევე ის პირები, რომლებიც ამ სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდნენ.
6. საბჭოს წევრი:
 - ა) მონაწილეობას იღებს საბჭოს სხდომებში;
 - ბ) აფიქსირებს სრულყოფილ პოზიციას დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე და სარგებლობს ერთი ხმის უფლებით;
 - გ) ხელს აწერს საბჭოს სხდომის ოქმს.



7. მოწვეულ სპეციალისტზე ვრცელდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული უფლება – მოვალეობები.

8. საბჭოს წევრებს უნდა მიეცეთ აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

9. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

გ) გამოიჩინა აშკარა მიკერძოებული დამოკიდებულება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;

დ) კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გადაწყვეტილება, რომელიც შეუძლებელს ხდის საბჭოს წევრის მხრიდან მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

ვ) სასამართლომ აღიარა მხარდაჭერის მიმღებად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად;

ზ) გარდაიცვალა;

თ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის საბჭოში წევრის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის საფუძველები

1. მოქალაქეთა ინიციატივები განხილვის მიზნით წარედგინება საბჭოს. საბჭო თავის სხდომებზე შემოსული საპროექტო განაცხადებს განიხილავს, შეისწავლის და სრული შემადგენლობის უმრავლესობით ღებულობს დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მიღებულ გადაწყვეტილებებს გადაუგზავნის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს შემდგომში მისი აღსრულების მიზნით;

მუხლი 5. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭო იკრიბება არსებული საჭიროებისას, მაგრამ არანაკლებ ერთხელ, კალენდარული წლის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარის ან/და საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნის შემთხვევაში.

2. საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი შედგება მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების შესაბამისად.

მუხლი 6. ანგარიშვალდებულება

საბჭო ანგარიშვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.





ქ.ზუგდიდი

05.06.2020 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N54

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 მაისის N 38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 მაისის N38 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - „2.“ „საბჭო უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობისას შეამოწმოს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივები (მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით) კონკრეტულ დასახლებაში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების თაობაზე, გაეცნოს წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტის თანადაფინანსების საკითხის გადაწყვეტა: მუნიციპალიტეტის წილი 95%, ინიციატორის-5%“;
 - „3.“ „სულ მწვანე ბიუჯეტის კონცეფციის ფარგლებში ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 100 000 ლარი“;
 - „5.“ „საპროექტო წინადადებების წარდგენა შესაძლებელია საბიუჯეტო წლის 2020 წლის 1 მაისიდან 10 ივნისამდე“;
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის.ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე

 მამუკა წოწერია





საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

N 87
31/03/2020

87-03-4-202003311045



**საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მწვანე ბიუჯეტი“-ს საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :


1. შეიქმნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათათბირო ორგანო „მწვანე ბიუჯეტი“-ს საბჭო შემდეგი შემადგენლობით:
 - ა.. სანდრო სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამადნატო, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე-საბჭოს თავმჯდომარე;
 - ბ. კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
 - გ. თაზო ფაცაცია- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-საბჭოს წევრი;
 - დ. დავით გახარია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე-კომისიის წევრი;
 - ე. სალომე ფაცაცია-საკრებულოს წევრი-საბჭოს წევრი;
 - ვ.ირაკლი ლავგილავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ურბანული განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-საბჭოს წევრი;
 - ზ. მამუკა ყურაშვილი- საკრებულოს წევრი-საბჭოს წევრი;
 - თ. ლექსო თოდუა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი-საბჭოს წევრი;
 - ი. მიხეილ ჭკადუა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი-საბჭოს წევრი;

საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ იქნენ:

 - ა. მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე;
 - ბ. ბესიკ ჭეჭია-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
 - გ. ეკატერინე კიფაია-საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;
 - დ. ოთარ ქადარია-საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;
 - ე.თამუნა ჯიქია-საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე;
 - ვ. ნატალია პაპასკირი-საკრებულოს აპარატის უფროსი;
 - ზ. ნინო დაგარგულია-საბჭოს მდივანი;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ზუგდიდი. რ. ლალიძის ქN12) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

მამუკა წოწერია



საკრებულოს თავმჯდომარე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო



მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმა

სახელი _____

გვარი _____

3/5

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

მისამართი _____

ტელეფონი _____

ელ-ფოსტა: _____

საპროექტო ინიციატივის დასახელება :

პროექტის განხორციელების მისამართი და პროექტის განხორციელების არეალში მცხოვრებ კომლთა რაოდენობა:

პროექტის აღწერა (ნარგავების რაოდენობა, სახეობა, განლაგება, სავარაუდო ჯამური ღირებულება და ა.შ.)

განაცხადზე ხელმოწერი პირების თანამონაწილეობა: პროექტის ჯამური ღირებულების 5%, რომელიც ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში შემდეგ სახაზინო კოდზე: **სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 300823282**. ასევე მონაწილეობას იღებენ მწვანე ნარგავების მოვლა -პატრონობაზე;

პროექტის განხორციელების არეალში მცხოვრებ მოქალაქეთა ხელმოწერა:

	<i>სახელი, გვარი</i>	<i>მისამართი</i>	<i>ტელ. ნომერი</i>	<i>ხელმოწერა</i>
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				

19				
20				
21				
22				
23				
24				
25				
26				
27				
28				
29				
30				

რეკომენდებული ნარგავები

- 1) უთხოვარი (*Taxus baccata*) წითელი ნუსხის, მარადმწვანე, მაღალდეკორატიული ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელი წიწვოვანი მცენარეა. ხასიათდება გვალვაგამძლეობით, ყინვაგამძლეობით, ტენის ამტანია, შესაძლებელია სხვლა, ფორმირება. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 200 ლ)



- 2) მარადმწვანე მუხა (*Quercus ruber* ან *Quercus ilex*) მაღალდეკორატიული, მარადმწვანე, ფოთლოვანი ხეა დახვეწილი ვარჯით, კარგად იტანს სხვლა ფორმირებას, გვალვაგამძლე და ყინვაგამძლეა, ტენის ამტანი. კარგად იტანს სხვლა ფორმირებას, მდგრადია მავნებლების მიმართ, აქვს ძლიერი ფესვთა სისტემა, გამოირჩევა შთანთქმის მაღალი კოეფიციენტით, განსაკუთრებით ფიტორემედიაციის² პროცესის წყალობით მიკრონაწილაკებით დაბინძურებულ ჰაერს კარგად ასუფთავებს. არაალერგიულია. (2 მეტრამდე ერთეულის ფასი 150 ლ)



- 3) ამბრის ხე (*Liquidambar styraciflua*) რელიქტური, მაღალდეკორატიული (ფოთოლდეკორატიული) ღირებულების, არაალერგიული (ან სუსტად გამოხატული ალერგიული ფონით) სამკურნალო მცენარეა, კარგად ეგუება მიმართ, ასევე კარგად იტანს გვალვას. ახასიათებს თვითნათესი. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 250 ლ)



- 4) ხეტიტა (*Liriodendron tulipifera*) რელიქტური, მაღალდეკორატიული (ფოთოლდეკორატიული) ღირებულების, არაალერგიული (ან სუსტად გამოხატული ალერგიული ფონით) სამკურნალო მცენარეა, კარგად ეგუება კოლხეთის დაბლობის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, მდგრადია მავნებლების მიმართ, ასევე კარგად იტანს გვალვას. ახასიათებს თვითნათესი. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 300 ლ)



- 5) ნეკერჩხალი (*Acer japonicum* “Red queen”) გამოირჩევა მაღალდეკორატიულობით, ნახშირორჟანგის (CO_2) შთანთქმის მაღალი უნარით, არაალერგიულია, ძლიერი ფესვთა სისტემით, მდგრადია კოლხეთის დაბლობის ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიმართ. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 200 ლ)



- 6) ორნაკვთიანი გინგკო (*Ginkgo biloba*) გამოირჩევა თავისი ესთეტიურობით, რელიქტური, გლობალური წითელი ნუსხის მცენარეა, ნაყოფი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება, ფოთლებს იყენებენ კოსმეტიკურ წარმოებაში. შთანთქმავს ულტრაიისფერ სხივებს. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 300 ლ)




- 7) ირმის რქა (*Lagerstroemia indica*) გამოირჩევა ლამაზი ყვავილებით, ხასიათდება დახვეწილი ვარჯით, ყინვაგამძლე გვალვაგამძლე ტენის ამტანი ნელა მზარდი მცენარეა, არაალერგიული. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 250 ლ)



- 8) აბრეშუმის აკაცია (*Albizia julibrissin*) მაღალდეკორატიული თაფლოვანი მცენარეა, ხასიათდება კაშკაშა ყვავილებით, ყინვაგამძლეა, გვალვაგამძლე, ტენის ამტანი, მდგრადია მავნებლების მიმართ, სინათლის მოყვარული. იტანს სხვალფორმირებას. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 250 ლ)



- 9) ქართული მუხა (*Quercus petraea* subsp. *iberica*) ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელი, მაღალდეკორატიული მცენარე, ლამაზი ვარჯით, მისი ფოთლები ფოტორემედიაციის მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება, გამოყოფს დიდი რაოდენობით ჟანგბადს. კარგად იტანს ტენს და ყინვაგამძლეა, არაალერგიული სამკურნალო მცენარე. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი 250 ლ)



- 10) კამელია (*Camelia* spp. ¹) მაღალდეკორატიული, მარადმწვანე ყვავილოვანი მცენარე, (ფოთოლ და ყვავილ დეკორატიული) კარგად ეგუება სამეგრელოს რეგიონის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, წარმატებით გამოიყენება პარკებისა და სკვერების გასაფორმებლად, არაალერგიული მცენარეა. (1 მეტრამდე ერთეულის ფასი საშუალოდ 300 ლ)



რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ფიტოსანიტარულად შემოწმებული ჯანსაღი ნერგის დარგვა
- რეკომენდირებულია სტანდარტული ნერგის ზომა არანაკლებ 1 მეტრისა (5 მეტრამდე)
- მცენარეთა ასაკი არანაკლებ 3 წლის, წიწვოვნები არანაკლებ 5 წლის
- ნერგის დიამეტრი 5 სმ-დან.
- მცენარეთა დარგვა რეკომენდირებულია მხოლოდ ადრე გაზაფხულსა ან შემოდგომაზე, არა სავეგეტაციო პერიოდში.
- ახალდარგულ ხე-მცენარეთა მოვლა გახარება ხორციელდება არანაკლებ ერთი სრული სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

მწვანე ნარგავების გაშენების აგროტექნიკა:

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე-მცენარის დარგვა:

1. dasargav ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,4 – 0,6 მ., ხოლო სიღრმე 0,3–0,5 მ.;
2. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან;
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
7. ხის-buCqis მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
8. ხის-buCqis დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
9. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;

10. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
11. ხის-buCqis დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხე მცენარის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) მინიმუმ 1 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვა-ფორმირების სამუშაოები.

¹ შესაძლებელია კამელიას სხვადასხვა სახეობების დარგვა.

² ფიტორემედიაცია - ფიტო - მცენარე + რემედიაცია - ზარალის ანაზღაურება, შეცდომის გასწორება. (ამ შემთხვევაში მავნე ნივთიერებების და მძიმე მეტალების შთანთქმისა და გაუვნებელყოფის უნარი)